

„აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი Freedom House-ის 2017 წლის ანგარიშში“

Freedom House-მა 31 აგვისტოს გამოაქვეყნა განმარტებითი მიმოხილვა ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში თავისუფლების კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ.

მიმოხილვა ერთვის 2017 წელს მსოფლიოში თავისუფლების მდგომარეობის შესახებ Freedom House-ის მიერ მომზადებულ ანგარიშს, რომელშიც აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი მოთავსებულია „სადავო ტერიტორიების“ კატეგორიაში.

აფხაზეთის შესახებ მომზადებული მიმოხილვა, რეგიონში არსებულ პრობლემებს შორის, „სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მანკიერ სისტემას და ეთნიკური ქართველების დისკრიმინაციას“ ასახელებს. მიმოხილვაში ასევე აღნიშნულია პოლიტიკური ძალადობის შემთხვევები, როგორცავე წარმოდგენს აპრილის თვეში ოპოზიციური დეპუტატის ავტომობილის აფეთქება სოხუმში, ასევე - ოპოზიციის მიერ ივლისში განხორციელებული შინაგან საქმეთა სამინისტროს შტურმის მცდელობა.

ანგარიშში ასევე საუბარია, რომ, რეგიონის ხელისუფლების მიერ გასაცემი დოკუმენტების უქონლობის გამო, ეთნიკურ ქართველებს შეეზღუდათ აპრილში ჩატარებულ ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობა.

ამავდროულად, ანგარიშში აღნიშნულია, რომ აფხაზეთში წარმოდგენილია „საკმაოდ ძლიერი ოპოზიცია და სამოქალაქო საზოგადოება“. „მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივ სამაუწყებლო მედიას ძირითადად ხელისუფლება აკონტროლებს, რეგიონში მაინც არსებობს რამდენიმე დამოუკიდებელი ბეჭდური და ონლაინ გამოცემა“, - ნათქვამია ანგარიშში.

Freedom House აფხაზეთს - „ნაწილობრივ თავისუფალ ტერიტორიად“, ხოლო სამხრეთ ოსეთს „არათავისუფალ ტერიტორიად“ განსაზღვრავს.

სამხრეთ ოსეთის შესახებ მომზადებულ მიმოხილვაში, აღნიშნულია რომ ადგილობრივ მედიას აკონტროლებს ხელისუფლება, „რომელიც ასევე ზღუდავს ან ყურადღებით აკვირდება სამოქალაქო აქტივობას“, ხოლო „სასამართლო ექვემდებარება პოლიტიკურ გავლენასა და მანიპულაციებს“.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ „ტერიტორია პრაქტიკულად სრულადაა დამოკიდებული რუსეთზე და მოსკოვს აქვს გადამწყვეტი გავლენა მის პოლიტიკასა და მთავრობაზე“. იქვე ნათქვამია, რომ „ოქტომბერში, მედიაში გაჟონილი ელექტრონული წერილებიდან ირკვევა, რომ რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები მართავენ სამხრეთ ოსეთში მიმდინარე საკანონმდებლო პროცესს, რაც კიდევ უფრო აძლიერებს შთაბეჭდილებას მოსკოვის ყოველმომცველი კონტროლის თაობაზე“.

Freedom House-ის ანგარიშში ასევე ნათქვამია, რომ „წლის განმავლობაში, ადგილობრივი ხელისუფლება აგრძელებდა კრიტიკულად განწყობილი ჟურნალისტებისა და მედიისათვის შეზღუდვების დაწესებას“ და აღნიშნულია, რომ „ოქტომბერში, გენერალური პროკურორის გადაწყვეტილებით, ხელისუფლების წევრთა მიმართ ცილისწამების გავრცელების ბრალდებით, ორი ვებგვერდი აიკრძალა. ამავე საფუძველზე, სისხლის სამართლის ბრალდება ორ ჟურნალისტს და ერთ ინტერნეტ-მომხმარებელს წარედგინა“.

1.09.2017 <http://www.civil.ge/geo/article.php?id=31560>

„ოკუპირებული აფხაზეთის ვიცე-პრეზიდენტის ვიტალი გაბნიას ბრიფინგი“

ყარაჩაი-ჩერქეზეთიდან დაბრუნებულმა დე-ფაქტო ვიცე-პრეზიდენტმა ვიტალი გაბნიამ ვიზიტის შესახებ გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრა. მისი თქმით.

„სადღესოდ აფხაზეთი ჩიხური ქვეყანაა, რომელიც საქართველოს ემიჯინება, ჩრდილოეთ კავკასიის გავლით ახალი გზის წყალობით კი გაჩნდება ტრანზიტი“ და დაამატა, „გზის გახსნის საკითხი ვიზიტის ფარგლებში განიხილებოდა. ამ თემაზე მხოლოდ ზარმაცი არ საუბრობს. ამ პროექტს ჰყავს როგორც მომხრეები, ასევე ადამიანები, რომლებიც მის ეკონომიკურ არსს ვერ ხედავიან“.

ამასთან, მისივე თქმით, ჩრდილოეთ კავკასიის გავლით გზის გახსნით აფხაზეთის სუვერენიტეტი არანაირად არ ზარალდება.

სატრანზიტო გზის მოწინააღმდეგეების საპასუხოდ ვიტალი გაბნიამ აღნიშნა, „ყველაზე დიდი საფრთხე აფხაზეთისთვის ეკონომიკური შინაარსობრივობის არარსებობაა, ის, რომ ჩვენ არ ვვითარდებით და ყველაფრის გვეშინია. ჩრდილოეთ კავკასიის გავლით გზის გახსნა შესაძლებლობას შექმნის, აფხაზეთი საერთო ტურისტულ კლასტერში ჩაერთოს, რის წყალობითაც ტურისტების მეტ რაოდენობას მოვიზიდავთ“

2015 წელს მოსკოვში ორმა კომპანიამ – ჩინურმა "China Railway"-მ და რუსულმა "Региональные проекты"-მ გააფორმეს მემორანდუმი ჩქაროსნული მაგისტრალის მშენებლობის თაობაზე, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიას აფხაზეთთან დააკავშირებს.

06.09.2017 ხელმისაწვდომია რუსულენოვან ვებგვერდზე <http://sputnikabkhazia.ru/Abkhazia/20170906/1021808762/abxazskij-tupik-gabniya-rasskazal-o-tranzite-cherez-severnyjkavkaz.html>

„დაურ კოვეს შეხვედრა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეებთან“

2017 წლის 14 სექტემბერს ოკუპირებული აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიმართა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების 41-ე რაუნდის მოსამზადებელი შეხვედრა თანათავმჯდომარეებთან. შეხვედრას აფხაზური მხრიდან დაურ კოვე და დე-ფაქტო საგარეო უწყების თანამშრომლები ირაკლი ტუჟბა, ლაშა ავიბა, არტურ გაგულია ესწრებოდნენ. ჟენევის დისკუსიების თანათავმჯდომარეებიდან შეხვედრას ესწრებოდნენ გაეროს, ეუთოს და ევროკავშირის წარმომადგელები ანტი ტურუნენი, გიუნტერ ბეხლერი და ბიორნ კუნენე.

ოკუპირებული აფხაზეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა მისასალმებელი სიტყვის დროს განაცხადა, „უკანასკნელი სამი თვის მანძილზე საქართველოში ორი ფართომასშტაბიანი სამხედრო სწავლებები ჩატარდა. იმის ფონზე, რომ საქართველო უარს აცხადებს ხელი მოაწეროს ძალის არგამოყენების შესახებ შეთანხმებას, ჩატარებული სწავლებები, ჩვენში სერიოზულ შემფოთებას იწვევს და ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ჟენევის დისკუსიების მომდევნო 41-ე რაუნდზე შევძლებთ ერთობლივი ზეპირი განცხადების მიღებას“.

ჟენევის ფორმატის ჰუმანიტარულ შემადგენელზე საუბრისას დაურ კოვემ აღნიშნა, რომ მეორე სამუშაო ჯგუფში ზოგიერთ საკითხზე არის დადებითი რეზულტატი. კერძოდ, მან თქვა, რომ ეკოლოგიური პრობლემები რეგიონალურ ხასიათს ატარებს და ეს რეგიონის მთელს მოსახლეობას ეხება.

გაეროს მხრიდან თანათავმჯდომარემ ანტი ტურუნენმა თავის მხრივ გამოთქვა იმედი, რომ ჟენევის დისკუსიები მაღწევნ თავის ძირითად ამოცანას, რომელიც ადგილებზე კონფლიქტების თავიდან აცილებაში მდგომარეობს.

შეხვედრის მსვლელობისას მხარეებმა დეტალურად განიხილეს მორიგი 41-ე რაუნდის დღის წესრიგი. კერძოდ, ძალის არგამოყენების ერთობლივი ზეპირი განცხადების შემუშავების აუცილებლობა, რომელიც, აფხაზური მხარის აზრით, იქნება წინ გადადგმული ნაბიჯი, იურიდიულად სავალდებულო შეთანხმების ხელმოწერისთვის საქართველოსა და ოკუპირებულ აფხაზეთსა და საქართველოსა და ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონთან.

შეგახსენებთ, რომ ჟენევის დისკუსიების მორიგი 41-ე რაუნდის ჩატარება დაგეგმილი 2017 წლის 10-11 ოქტომბერს.

14.09.2017 ხელმისაწვდომია რუსულენოვან ვებგვერდზე (МИДРА <http://mfaapsny.org/ru/allnews/news/visits/o-vstreche-s-copredsedatelyami-zhenevskikh-diskussiy-po-bezopasnosti-i-stabilnosti-v-zakavkaze/>)

„ოკუპირებულ აფხაზეთში რუსეთის საბაჟო სამსახური ახალ საბაჟო პოსტს ხსნის“

ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ახალი, სპეციალიზებული „საბაჟო პოსტი“ გაიხსნება, რომელიც რუსეთის საბაჟო სამსახურის დაქვემდებარებაში იქნება.

„საბაჟო პოსტის“ გახსნის შესახებ ბრძანებას 12 სექტემბერს, ხელი რუსეთის საბაჟო სამსახურის ხელმძღვანელმა ვლადიმერ ბულავინმა მოაწერა. პოსტის ზუსტი ადგილმდებარეობა ჯერ კიდევ ზუსტდება, თუმცა ბრძანებაში ნათქვამია, რომ მისი მოქმედების არეალში შედის მთლიანად ოკუპირებული რეგიონი და ქალაქ ადლერის საავტომობილო ე.წ. გამშვები პუნქტი.

რუსეთის საბაჟო სამსახურის ხელმძღვანელის განკარგულება ძალაში 2017 წლის 1 ნოემბერს შევა. სწორედ ამ თარიღისთვის იგეგმება ახალი „საბაჟო პოსტი“ ამოქმედება და ამ დროიდან დაიწყებს სამტატო განრიგის შესაბამისად ფუნქციონირებას.

19.09.2017 ხელმისაწვდომია რუსულენოვან ვებგვერდზე (<http://abkhazinform.com/item/6486-fts-rf-sozdala-abkhazskij-tamozhenyj-post>)

„ოკუპირებული აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს კომენტარი“

ოკუპირებული აფხაზეთის საგარეო უწყება გაეროს გენერალურ ასამბლეაზე პოლონეთის, სლოვაკეთის, თურქეთის, ლიტვისა და ესტონეთის წარმომადგენლების გამოსვლას ეხმაურება. აღნიშნული ევროპული ქვეყნების ლიდერებმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და ადამიანის უფლებების დარღვევაზე ისაუბრეს. დე-ფაქტო საგარეო უწყება წერს, რომ ამით გამოიხატა საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან არაღიარებული აფხაზეთის მოსახლეობის პოზიციების იგნორირება და ე.წ რესპუბლიკის მიმართ ორმაგი სტანდარტების გამოყენება. დე-ფაქტო საგარეო უწყების კომენტარში ვკითხულობთ, „აუცილებელია გაეროს სტრუქტურების მუშაობაში აფხაზეთის წარმომადგენლების მონაწილეობა. გაეროს ტრიბუნლიდან აფხაზეთის პოზიციის გაჟღერება აფხაზეთსა და საქართველოს შორის თანაბარუფლებიანი დიალოგის დაწყებას და კონფლიქტის მოგვარებას შეუწყობს ხელს“

მათივე განცხადებით, ევროპული ქვეყნების ლიდერები „საკუთარი პოლიტიკური ილუზიების ტყვეობაში არიან და იმ პროპაგანდით ხელმძღვანელობენ, რასაც მსოფლიო საზოგადოებას საქართველო ახვევს თავს.

გაეროს 72-ე გენერალურ ასამბლეაზე საქართველოს მხარდამჭერი განცხადებები გაკეთდა. მსოფლიო ლიდერებმა სიტყვით გამოსვლისას რუსეთის აგრესიულ საგარეო პოლიტიკასა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მნიშვნელობაზე გაამახვილეს ყურადღება.

ოკუპირებულ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე ილაპარაკეს თურქეთის, პოლონეთის, ლიტვის, ესტონეთისა, ლატვიისა და სლოვაკეთის პრეზიდენტებმა.

21.09.2017 ვრცელდება ხელმისაწვდომია რუსულენოვან ვებგვერდზე <http://mfaapsny.org/ru/allnews/news/statements/speeches/kommentarij-mid-abkhazii+564/>